ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 323

13 ნოემბერი
"---"-------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. №13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს № 21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2_მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. №13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 სექტემბრის №18.770.1136 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. №13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ლაშა სიგუას (პ/ნ: 01024016381) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე და ვაჟა-ფშაველას შემაერთებელ გზაზე, II საავადმყოფო-პოლიკლინიკის მოპირდაპირედ არსებული 364 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.03.038.018) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**